დანართი 3

სდასუ

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

დამტკიცებულია:

20.10.2022

აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია ადგენს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) სკოლებში/საგანმანათლებლო პროგრამებზე აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესს.

მუხლი 2. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია

1. უნივერსიტეტის სკოლებში/საგანმანათლებლო პროგრამებზე აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა განისაზღვრება უნივერსიტეტის მისიიდან და სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის და შესაბამისი სკოლის საერთო ბიუჯეტის, საგანმანათლებლო პროგრამების და სტუდენტთა რაოდენობის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით;
2. აკადემიური პერსონალის რაოდენობის ერთ-ერთ ძირითად განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში არსებული საკონტაქტო საათების რაოდენობა;
3. საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სასწავლო კურსებზე ჯგუფში დაშვებული სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა;
4. აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის დადგენილი სამიზნე ნიშნულები (პროცენტულად დადგენილი მინიმალური მოთხოვნები და მაქსიმალური დაშვებები);
5. აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მიზნით, უნივერსიტეტი იყენებს თანაფარდობას - 1 აკადემიური პერსონალი არაუმეტეს 25 სტუდენტზე, გარდა მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამისა;
6. მედიცინის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე უნივერსიტეტი იყენებს თანფარდობას - 1 აკადემიური პერსონალი არაუმეტეს 13 სტუდენტზე;
7. მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მიზნით, უნივერსიტეტი იყენებს თანაფარდობას - 1 მოწვეული პერსონალი არაუმეტეს 25 სტუდენტზე.
8. აფილირებული აკადემიური პერსონალის თანაფარდობა უნივერსიტეტის სტუდენტთა რაოდენობასთან არ აღემატება 1/50-ს, მედიცინის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე1/35-ს.
9. სასწავლო წლის დაწყებამდე ხდება სტუდენტთა არსებული და მისაღები რაოდენობის, პროგრამის საჭიროების, აკადემიური პერსონალის რაოდენობის და მათი სასწავლო დატვირთვის ანალიზი. აღნიშნულის საფუძველზე განისაზღვრება მოსაწვევი პერსონალის რაოდენობა;
10. აკადემიურ პერსონალთან მიმართებით მოწვეული პერსონალის თანაფარდობა არ აღემატება 1/2;
11. სტუდენტთა გაზრდილი რაოდენობისთვის ამავე მუხლის მე-2, მე-3, მე-4 და მე-8 პუნქტით განსაზღვრული თანაფარდობების შესანარჩუნებლად გამოცხადდება აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსი.

მუხლი 3. სასწავლო კურსებზე დაშვებული სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სასწავლო კურსებზე ჯგუფებში დაშვებულ სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება სასწავლო კურსების სპეციფიკა.

3.1. საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში დაშვებულია სასწავლო კურსებზე ჯგუფში სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა:

ა) სასწავლო კურსების თეორიულ ნაწილზე - მაქსიმუმ 40 სტუდენტი; სასწავლო კურსების პრაქტიკულ ნაწილზე - მაქსიმუმ 25 სტუდენტი.

ბ) უცხო ენების სასწავლო კურსებზე - ჯგუფში სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა - 20 სტუდენტი;

გ) იმიტირებული სასამართლო პროცესის დარბაზი - 10 სტუდენტი.

3.2. მედიცინის ფაკულტეტზე:

ა) I, II, III სასწავლო წელს, საბაზისო სასწავლო კურსების თეორიულ ნაწილზე - მაქსიმუმ 40 სტუდენტი, პრაქტიკულ ნაწილზე - მაქსიმუმ 25 სტუდენტი;

ბ) IV, V, VI სასწავლო წელს, კლინიკური სასწავლო კურსების თეორიულ ნაწილზე - მაქსიმუმ 40 სტუდენტი, პრაქტიკულ ნაწილზე - მაქსიმუმ 10 სტუდენტი.

3.3. ლაბორატორიული მეცადინეობები:

ა) სასწავლო კურსებში, სადაც გათვალისწინებულია ლაბორატორიული მეცადინეობები ჯგუფში სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა - 20 სტუდენტი;

ბ) მედიცინის ფაკულტეტზე სასწავლო კურსებში, სადაც გათვალისწინებულია ლაბორატორიული მეცადინეობები ჯგუფში სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა - 10 სტუდენტი.

მუხლი 4. აკადემიური პერსონალის და პროფესიული ნიშნით არჩეული პროფესორის თანამდებობრივი გადანაწილების წესი

4.1. ამ წესის მე-2 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით განსაზღვრული აკადემიური პერსონალის მაქსიმალური რაოდენობა აკადემიური თანამდებობების მიხედვით (ასისტენტი, ასისტენტ პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, პროფესორი) გადანაწილდება შესაბამისი მიმართულებების მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამის/ პროგრამების და სამეცნიერო-კვლევების სპეციფიკის და მათ მიერ შესასრულებელი საკონტაქტო საათების გათვალისწინებით.

4.2. ამ წესის შესაბამისად, რექტორთან და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით, სკოლის დეკანი განსაზღვრავს და აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიური თანამდებობების შესაბამისად, აკადემიური პერსონალის რაოდენობას.

მუხლი 5. ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

1. აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება რექტორის ან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის ინიციატივის საფუძველზე, აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით.